

ასიმილაცია შავშურ დიალექტში

ფაღავა მამია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბარამიძე მათა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.08>

აბსტრაქტი. შავშურს ვუწოდებთ ისტორიული შავშეთის მკვიდრთა მეტყველებას. აღვნიშნავთ, რომ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხსენებული დიალექტის აღსანიშნავად გამოიყენებიათ ტერმინი იმერხელი კილო (ნ. მარი, ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, შ. ფუტკარაძე, ტ. ფუტკარაძე...), რამდენადაც მიიჩნევდნენ, რომ ქართული მეტყველება გადარჩენილია მხოლოდ იმერხევის ხეობაში გაშენებულ ოცამდე სოფელში. ტერმინი პირველად ნ. მარმა იხმარა, სხვებმა გაიმეორეს მისი მოსაზრება. ჩვენ შემოგვაქვს ტერმინი შავშური კილო შემდეგი მოსაზრებით: ა. შავშეთი (დღევანდელი გაგებით) და იმერხევი ერთი ისტორიული ქართული ქვეყნის, შავშეთის ნაწილებია. ბ. ქართული მეტყველება ისმის არა მარტო იმერხევის ხეობაში გაშენებულ სოფლებში, არამედ მის გარეთაც: უსტამისში, ჩაქველთაში... გ. ქართული ლექსიკა დალექილია შავშთა თურქულ მეტყველებაში. დ. შავშეთის მთელს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ცოცხალია ქართული ტოპონიმი; ე. შავშურის ნაწილად, როგორც კილოკავს, განვიხილავთ მაჭახლურ მეტყველებასაც. ყველა დასახელებული მიზეზის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, უმჯობესია გამოვიყენოთ ტერმინი შავშური კილო, რომელშიც არსებული მონაცემებით ორი კილოკავი შეიძლება გამოიყოს: იმერხელი და მაჭახლური.

შავშური ქართული ენის მკვეთრად გამოხატული დიალექტია. ავტორები შავშეთის სოფლებში მოწყობილი ექსპედიციების გზით მოპოვებულ მრავალფეროვან მასალაზე დაყრდნობით მსჯელობენ ერთ ფონეტიკურ მოვლენაზე, - ასიმილაციაზე შავშურში. განიხილავენ როგორც ხმოვანთასიმილაციის, ისე თანხმოვანთასიმილაციის შემთხვევებს, იკვეთება საყურადღებო ლინგვისტური სურათი, კერძოდ: ხმოვანთა ასიმილაცია:

აე>ეე: დეეხვევა (<დაეხვევა), ჩეევი (<ჩაევი)...

აი>ეი (>ეე): დეეჩავლა (<დაისჩავლა), დიმინახე (<დამინახე)...

დიმივიჩყდა (<დამავიჩყდა), გემიგონია (გამიგონია)...

ოი>ეი (>ეე): მეიკიდე (<მოიკიდე), მეიტანდა (<მოიტანდა), მემიტანა (<მომიტანა)...

ოი>ეი>იი: მიმიჩველია (<მემიჩველია<მომიჩველია)...

აუ>ოუ>უუ: უუღებენ (<ოუღებენ<აუღებენ).

ეუ>უუ: შუუჩივლია (<შეუჩივლია)...

თანხმოვანთასიმილაცია:

სდ>ზდ: ამეზლამ (შდრ. ამას ღამ)...

სჭ>შჭ: შჭამდა (<სჭამდა)...

გყ>ქყ: ქვეყავდა (<გვეყავდა)...

გც>ქც: მოქცემ (<მოგცემ)...

ჩანს, შავშურში ჭარბობს რეგრესული ასიმილაციის შემთხვევები.

ასიმილაციაში ხელშესახებად იკვეთება შავშურის ფონეტიკური თავისებურებანი.

საკვანძო სიტყვები: შავშური კილო, სამხრული დიალექტები, ასიმილაცია, კილოკავი, ხმოვანთასიმილაცია, თანხმოვანთასიმილაცია, რეგრესული ასიმილაცია.

შავშურს ვუწოდებთ ისტორიული შავშეთის მკვიდრთა მეტყველებას. აღვნიშნავთ, რომ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხსენებული დიალექტის აღსანიშნავად გამოუყენებიათ ტერმინი იმერხეული კილო (ნ. მარი, ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, შ. ფუტყარაძე, ტ. ფუტყარაძე...), რამდენადაც მიიჩნევდნენ, რომ ქართული მეტყველება გადარჩენილია მხოლოდ იმერხევის ხეობაში გაშენებულ ოცამდე სოფელში. ტერმინი პირველად ნ. მარმა იხმარა, სხვებმა გაიმეორეს მისი მოსაზრება. ჩვენ შემოგვაქვს ტერმინი შავშური კილო შემდეგი მოსაზრებით: ა. შავშეთი (დღევანდელი გაგებით) და იმერხევი ერთი ისტორიული ქართული ქვეყნის, შავშეთის ნაწილებია. ბ. ქართული მეტყველება ისმის არა მარტო იმერხევის ხეობაში გაშენებულ სოფლებში, არამედ მის გარეთაც: უსტამისში, ჩაქველთაში... გ. ქართული ლექსიკა დალექილია შავშთა თურქულ მეტყველებაში. დ. შავშეთის მთელს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ცოცხალია ქართული ტოპონიმია; ე. შავშურის ნაწილად, როგორც კილოკავს, განვიხილავთ მაჭახლურ მეტყველებასაც. ყველა დასახელებული მიზეზის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, უმჯობესია, გამოვიყენოთ ტერმინი შავშური კილო, რომელშიც არსებული მონაცემებით ორი კილოკავი შეიძლება გამოიყოს: იმერხეული და მაჭახლური.

შავშური კილო გამოირჩევა ფონეტიკური მრავალფეროვნებით. სტატიაში შევხებით ოდენ ასიმილაციის შემთხვევებს შავშურში.

მრავალფეროვანი და ფართოდ გავრცელებულია ზმნისწინის, ზმნის ფუძისეული ხმოვნებისა და ხმოვანი პრეფიქსის შეხვედრის შედეგად მომხდარი ფონეტიკური პროცესები, – ხმოვანთკომპლექსების მონაცვლეობა.

აე>ეე სრული, რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე:

იმფრათ იგზე **დეეხვევა** (ბაზგირეთი); საქ უწინ გოგოს ვერ **დეელაპარიკებოდი** (ჩაქველთა)...

ასიმილაცია ხდება მაშინაც, როცა აე კომპლექსი გათიშულია ზმნის ფუძისეული ვ თანხმოვნით და სუბიექტური პირველი, ობიექტური პირველი და მეორე პირების ნიშნებით: ვ-, მ-, გვ-. მაგალითები:

აე ხმოვანთკომპლექსი გათიშულია ზმნის ფუძისეული ვ თანხმოვნით:

იქ **წვედი** (ნიოლეთი); მეგრე **წვეელ** (უსტამისი)...

შეიძლება დაიკარგოს ფუძისეული თანხმოვანი:

მე ვერ **წვეე** (შოლტისხევი). შდრ. ყურბეთში არ **წველით** (იფხრეული); შარშან თველზე ქი **ჩაველი**... (ხევწვრილი)...

ველ ზმნური ფუძის მესამე პირის მრავლობითის ფორმაში სუბიექტური პირის ნიშნის (-ენ) ხმოვნის გავლენით იკარგება ფუძისეული ე:

კაცები ჯამეზე **წველენ** (<წავლენ) (ზიოსი)...

აე ხმოვანთკომპლექსი გათიშულია სუბიექტური I პირის ნიშნით:

სხვისას არ **წვევარები** (ხევწვრილი); **დევეშვიდობეთ** (ზაქიეთი)...

აე კომპლექსი გათიშულია I და II ობიექტური პირების ნიშნებით:

გემეპარე უკანა კარიდან (უსტამისი); ქომოთ **ჩეგვესხა** (ჩაქველთა)...

შეიძლება შეიცვალოს რთული ზმნისწინის ორივე ხმოვანი:

იმდენი ჭკვაში მოსულიყო, საბანი **გედებურა** (ბაზგირეთი)...

ამ ცვლილების პირველი საფეხური – მეორე რიგის ფორმები (**გადებურა**, **გადემექნია**) შავშურში არ ჩანს.

აი>ე (>ე) ნაწილობრივი, რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე:

გეაქეცი, ქი მოდიანო (ჩაქველთა); **გეაყიდებოდა** ადგილი (უსტამისი); ვერაფერი ვერ **დეაწავლა** (ბაზგირეთი)...

ეია (>ეა) კომპლექსში ზოგჯერ ი (>ი) იკარგება: **ეარებენ**>ეარებენ.

ასიმილაციის საფუძველზე რთული ზმნისწინის ორივე ხმოვანი შეიძლება შეიცვალოს:

გედეიწმინდაო, ვიტყვით (მაჩხატეთი); ასე **გედეიფშნება** (ჩაქველთა)...

აღნიშნული ცვლილების პირველი საფეხური – **გადეიწმინდა**, **გადეიფშნება** არ დასტურდება.

დამოწმებული ტიპის ფორმებში ზოგჯერ ისმის **ი**:

გინდა, **ეიღებ**, **წეიღებ** (ბაზგირეთი); იმგვარად გათოვლდება, ქი **ეივსება** თოვლი (ჩაქველთა); ვიყავით ჰამა **გეიკრიფენ** (მანატბა)...

აი კომპლექსში ასიმილაციის პროცესს არ აბრკოლებს მასში ჩართული ზმნის ფუძისეული **ვ**, სუბიექტური I და ობიექტური I და მეორე პირის პრეფიქსები: **ვ-**, **მ-**, **გვ-**, **გ-**. მაგალითები:

აი კომპლექსში ჩართულია ფუძისეული **ვ**:

მე ახლა ჯამეში'ნა **ჩევიდე** (ჩაქველთა); **ევიდეთ** სათავეში (უსტამისი)...

აი კომპლექსში ჩართულია I სუბიექტური პირის ნიშანი:

მე **გევიპარე** (ჩაქველთა); ხელები **დევიბანოთ** (შავშათი)...

აი>ე პროცესს ზოგჯერ ერთვის ზმნის ფუძისეული **ვ** ბგერისა და პირველი სუბიექტური პირის ნიშნის მომდევნო მასიმილირებელი **ი** ხმოვნის დაკარგვა:

მალლა **ევედა** (ბაზგირეთი); ყაზა ქნა და მალევე **წევედა** (მაჩხატეთი)...

შავშურისათვის უფრო დამახასიათებელი ჩანს **წევიდა**, **დევიჭირე**... ფორმები, ხმოვნის დაკარგვა აჭარულისთვის არის ნორმა.

აი კომპლექსში ჩართულია პირველი და მეორე ობიექტური პირის ნიშნები:

ამედაჲ კაჲ (=კარგად) არ იყო, **გემისკდა** გული (ზიოსი)...

გული არ გეგისკდეს გზაზე (ხევწვრილი)...

ხაზგასმული ფორმებით შავშური კილო განსხვავდება ქართული ენის სხვა დიალექტებისაგან, მათ შორის აჭარულისაგან, რომელშიც ასიმილაცია ერთსაფეხურიანია და სრული: **დამინახე> დიმინახე, გამიხდა>გიმიხდა...** წინა საფეხურის, ნაწილობრივი ასიმილაციის ფორმები აჭარულში არ ჩანს. მართალია, შავშურშიც არის სრული ასიმილაციის ფორმები, მაგრამ, როგორც ნაწილობრივი ასიმილაციის მომდევნო საფეხური.

პატრობის დროს ბევრი **დიმივიწყდა** (სვირევანი). შდრ. ... თელი **დამავიწყდა** ისტამბულ (სვირევანი)...

ერთი და იმავე ფუძის ზმნა გვხვდება ორივე სახით - ნაწილობრივი და სრული ასიმილაციით:

არ **გემიგონია** მაგვარი (უსტამისი). შდრ. შატბერდი არ **გიმიგონია** (უუსტამისი)... ეგეფხანება, **გეგიარს** (უსტამისი). შდრ. გულში არ **გიმიარდა** (მაჩხატეთი)...

ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაში არის ორივენაირი ფორმა:

სამოც დღე ვიხმარეთ წყალი, **დეგვიშრეს** სოფელმა, იმათი სიმიინდი კაა მოდის და ჩვენი არ მოდისო, **დიგვიშრეს** წყალი (მანატბა)...

აი კომპლექსის ნაწილობრივი ასიმილაციის ერთი ფორმა იმერხევის მეტყველებიდან დასტურდება „ქართულ დიალექტოლოგიაში” გამოქვეყნებულ ტექსტში:

ამ ყონახზე მობძანებულ ეფენდიმა არ **დემივიწყოს** (ქდ 388).

ანალოგიური შემთხვევები გვხვდება „ჩვენებურების ქართულში” (ფუტკარაძე 1993):

გემიყუნეს (199); **დეგინახონ** (202); **მეგიტანა** (203); **დეგვიცადე** (205), **გეგვიშვა** (211); **გეგიშავდება** (211)...

დიმინახა (196); **დიგინახავს** (220); **გიმიხარდა** (204)...

ოე>ეე სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე:

დათვმა და გელებმა **მეერივნენ** (ჩაქველთა); საქმემ **მემერიასო**, ჩემი ბაბოი იტყოდა (მაჩხატეთი); არაბანი **მეგეშალნენ** (უსტამისი)...

ზოგიერთი ფორმის ამოსავლად შეიძლება მი- ზმნისწინიანი ფორმაც ვიგულისხმოთ: **მიერივნენ**, **მიეტანა**.

რთული ზმნისწინის პირველი ხმოვანი არ იცვლება:

არ **გამემიშვეს** (შავშათი). შდრ. **გამომიშვეს** (მაჩხატეთი)...

ოი>ეი (>ეე) ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის შედეგად:

მეიკიდე აკვანი ზრუგში (უსტამისი); ახლა **გამეიცვალოს** (ბაზგირეთი)...

ზოგჯერ კომპლექსის ი ხმოვანი უმარცვლო ხდება:

მაშინ რაცხას **მეიტანდა**, **მეიტანდა** (ჩაქველთა)...

არ ფუძის ზმნაში მასიმილირებელი ი იკარგვის:

ამეარეთ იქ (უსტამისი); სარფიდან **გადმეარეთ** (უსტამისი)...

ამოიარეთ>ამეიარეთ>ამეარეთ>ამეარეთ.

ასიმილაცია მაშინაც ხდება, როცა კომპლექსში ჩართულია ზმნის ფუძისეული ვ, პირველი სუბიექტური, პირველი და მეორე ობიექტური პირების ნიშნები: ვ-, მ-,

გვ-, გ-

ჩართულია ფუძისეული ვ:

ერთი აღმანი **მევიდა**, იურისტი (ბაზგირეთი); ახლა მარტო ბალი **მევიდა** (ზიოსი)...

კომპლექსში ჩართულია I სუბიექტური პირის პრეფიქსი:

მევიღალე, ქორში ვიყავ (ხევწვრილი); იქიდან **წამეველე** (დიობანი)...

შეიძლება ბგერათკომპლექსში ვ'ს მომდევნო ი დაიკარგოს.

ოვი>ევი>ევ:

ახლა **გამევედა**, უწინ არ იყო (ბაზგირეთი); ბზე **ამევედაო**, ვიტყვით (აგარა)...

გამოვყოფთ **მო-** ზმნისწინიან ფორმებს, რომლებშიც **ოი** კომპლექსი გათიშულია I და II ობიექტური პირების ნიშნებით (მ-, გვ-, გ-). ნაწილობრივი, რეგრესული ასიმილაციით მიღებულია ზმნის ასეთი ფორმები:

ჩვენ (=ჩვენმა) მეზობელმა ძე **მემიტანა** (დიობანი); იმან **მემიპარა** ცხენზე (დიობანი);

მე არ **მემიკითხეს** (მაჩხატეთი); საჭმელს **მეგვიტანდენო** საქმის ადგილზეო (ზაქიეთი)...

ძილი **მეგვიდა** (უსტამისი); თორმეტ ალთუნ **მეგიტანო** (ბრილი)...

რამდენიმე ფორმა ამ წარმოებისა გვხვდება „ჩვენებურების ქართულში“ (ფუტკარაძე, 1993):

რამდენჯელ **მეგვიკითხე** (246); **მეგითხუთ** და წამოიო (259); ნენეი ფაფას **მეგიდუღებსო** (270).

ნაწილობრივ ასიმილაციას შეიძლება მოჰყვეს სრული რეგრესული ასიმილაცია. ამდენად, პროცესი ორსაფეხურიანია: **ოი>ეი>იი**. სრული ასიმილაციის შედეგად **მო-** ზმნისწინი ემსგავსება **მი-** ზმნისწინს. ჩვენი დაკვირვებით (და სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვითაც) ეს მოვლენა არ გვხვდება ქართული ენის სხვა დიალექტებში, არც აჭარულში, რომელთანაც ბევრი საერთო აქვს შავშურ კილოს:

ვერ **მიმიწველია** (<მემიწველია<მომიწველია) ძროხა (უსტამისი); ბაბოჲ მეყვანეს, იმან **მიმიარა** (ბაზგირეთი); დედამთილ-მამამთილი არ მყავს, მალე **მიმიკდენ** (უსტამისი)...

ახლა წყლები **მიგვიყვანეს**, ა, იქიდან **მიგვიყვანეს** (<მეგვიყვანეს <მოგვიყვანეს) კარჩხლიდან (უსტამისი)...

ერთსა და იმავე წინადადებაში გვხვდება ორი სხვადასხვა ფორმა - შეუცვლელი, ამოსავალი და ასიმილირებული (სრული ასიმილაციით):

წყალი, ორი წელიწადია, **მოგვიყვანა** ბაშქანმა, ჩვენ წყალი არ გვქონდა, ფერდიდან **მიგვიყვანა** (ნიოლეთი).

ზოგიერთ ფორმაში **მი-** ელემენტს გადაჭრით ვერ მივიჩნევთ **მო-** ზმნისწინისაგან მომდინარედ:

გურჯიჯა ვერ **მიგვიფერებია** (უსტამისი); ვერ **მიმიცლია**, ყანას ვთიბ (სვირევანი)...

ხაზგასმულ ზმნებში **მო-** ზმნისწინიც შეიძლება გვქონდეს: **მოგვიფერებია**, **მომიცლია**.

აუ>ოუ ნაწილობრივი, რეგრესული ასიმილაციით:

ამათ ვიზე **გოუკეთა** (<გაუკეთა) (ზაქიეთი); **გოუგზავნიან** ისენი (დავლათი);

ამრეველი თუ არი, **ოურიეთ** (ზაქიეთი)...

ნაწილობრივი ასიმილაციის გაგრძელებაა სრული ასიმილაცია: აუ>ოუ>უუ:
ურბას უუღებენ (უსტამისი); ჭვირთი უუმძიმდაო ცხენს (მანატბა); ორი წელიწადი არ უუთავებია (ბაზგირეთი)...

ჭარბობს სრული ასიმილაციის ფორმები. უუ ენაცვლება არა მარტო აუ კომპლექსისაგან მიღებულ, არამედ პირველად ოუ³საც:

დოდოფალ ოდას მუუწყობენ (<მოუწყობენ) (უსტამისი); გურჯიჯა ვერ მუუფერებან (<მოუ-ფერებიათ) (ხევწვრილი)...

ზოგიერთი, უუ კომპლექსიანი ზმნის ამოსავლად შეიძლება ვივარაუდოთ, როგორც მო-, ისე მი- ზმნისწინიანი ფორმა:

ნიშან მუუტანებენ (უსტამისი). მოუტანებენ, მიუტანებენ (>მუუტანებენ);

იმას ჭიპ მუუბრუნებდენ (წეთილეთი)...

სხვადასხვა ფორმა გვხვდება ერთსა და იმავე წინადადებაში:

ხახვ ჩუურევთ, სარჩას ჩუურევთ, ლამაზათ მოურევთ, მოვხრაკავთ (უსტამისი).

ეუ>უუ სრული, რეგრესული ასიმილაციით:

იმისთინ შუუჩივლია, არ დამანახვესო (შავშათი); ლამაზათ შუურევთ (უსტამისი)...

დასტურდება ხმოვანთა ასიმილაციის სხვა შემთხვევებიც, რომლებიც არ არის დაკავშირებული ზმნისწინებთან:

ზომოთ (<ზემოთ) ზაქიეთური დაილაა (ჩაქველთა).

კითხვითი ნაცვალსახელი რა და ზმნა იქნა აღიქმება ერთ სიტყვად (ენკლიტიკის შემთხვევა), რომელშიც ხდება ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია:

რე იქნა მანქანა? (ხევწვრილი); რე იქნა არ ვიცი (შავშათი).

ასიმილაციაა მომხდარი ცა, და ნაწილაკდართული რა ნაცვალსახელის მოქმედებითი ბრუნვის ფორმაში:

რაცხეით (<რაცხაით) გინდა (ჩაქველთა).

ასევე ამ ნაცვალსახელის უნაწილაკო და ნაწილაკიან ებ³იან მრავლობითში:

რეები იცით თქვენ? (დიობანი); რაცხეები (<რაცხაები) აქვან-მეთქი (ზაქიეთი);

შდრ. რაცხებს აჩუქებენ (შავშათი); ჩვენთან უფრო ბევრი რაცხაები იციან (ზაქიეთი).

ასიმილაციაა უარყოფით ნაცვალსახელში (ვინ ნაცვალსახელის ი ხმოვნის გავლენით): აქ არევენ არ წავა (ჩაქველთა);

იქვე გვხვდება: არავის არ მიხტომია, არავისთვის არ უკბენია (ჩაქველთა).

ნაწილობრივი პროგრესული ასიმილაციის მაგალითია ნაწილაკიანი ზმნიზედა იქეც:

იქეც (<იქაც) არაფერი არაა (ნიოლეთი); იქეც ასკერი არი (ნიოლეთი).

ასევეა: შეკიკი<შაკიკი: თავი ტკივილი გექნება, შეკიკი, დეკიკლო³ნა (ზაქიეთი).

სრული ასიმილაციის სხვა მაგალითებია:

დოდოფლობა ახლა ისე აღარ არი (ჩაქველთა); შდრ. ჩემი ბაჯალა იმისი დედოფალია (ჩაქველთა); ხოშკოკოლამ (ხოშკაკალამ) ჩაწყვიტა (ხოხლეთი).

გეოგრაფიული სახელი მაჭახელი გვხვდება სხვადასხვა ფორმით: მაჭახელი, მაჭიხელი, მაჭეხელი, მეჭეხელი. ვფიქრობთ, სამი უკანასკნელი ფორმა ასიმილაციით უნდა იყოს მიღებული: რეგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციით:

მაჭახელი > **მაჭიხელი**; სრული, რეგრესული ასიმილაციით: **მაჭიხელი** (<**მაჭახელი**), **მეჭიხელი** (<**მაჭიხელი**):

მაჭახელი: მაწინარი თაფლი **მაჭახელშია** (ჩიხვთა)...

მაჭიხელი: ხალაჲ იქ, **მაჭიხელ** გათხოვილი ყავდა (ბაზგირეთი)...

მაჭიხელი: **მაჭიხელში** რომ გადახვალ, გვარ მედკითხვენ (ბაზგირეთი)...

მეჭიხელი: დედეჲ იქედან გადმოსულა, **მეჭიხელ** ეტყვიან (ბაზგირეთი).

მეჭიხელი ინდივიდუალური ფორმა ჩანს.

ინდივიდუალური უნდა იყოს **ცაკვა** (ცეკვა). საინტერესოა მოუბრის განმარტება: „ცქვიტათ (სწრაფად) სამას „ცაკვა“ უთხრეს. „ცეკვიდან“ „ცაკვა“ გახდა (აგარა). თურქული „სამას“ ანალოგიით სწრაფი ტემპის ცეკვას დაარქვეს „ცაკვა“ (პროგრესული ასიმილაციით).

შავშურში ფართოდაა გავრცელებული თანხმოვანთა ასიმილაცია.

რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაციის საფუძველზე მომხდარა თანხმოვანთა შემდეგი ცვლილებები:

სღ > **ზღ**: **ამეზღამ** (=ამაღამ) აქ ხართ? **ამეზღამდელი** დუგუნი აგზეა (უსტამისი).

ამეზღამ მიღებულია ჩვენებითი ნაცვალსახელის (ეს') მიცემითი ბრუნვის ფორმის (ამას') და არსებითი სახელის **ღამე'** (>**ღამ**) შეერთებით.

ამასღამ > **ამაზღამ** ასიმილაციას ერთვის ხმოვანთა რეგრესული დისიმილაცია: **ამაზღამ** > **ამეზღამ**. გვხვდება ამღამე ფორმაც: **ამღამე** ბაზგირეთ დუგუნი (დიობანი).

შევნიშნავთ, რომ გვიანი პერიოდის ორიგინალურსა და ნათარგმნ ქართული ლიტერატურის ძეგლებში დასტურდება სწორედ ეს ამოსავალი ფორმა - **ამას ღამე** (ცალ-ცალკე სიტყვებად):

მე ვარ **ამას ღამე** ტალაო (ამირანდარეჯანიანი, 148); **ამას ღამე** შენ მიმასპინძლე (რუსუდანიანი, 39, 32); ბედნიერობა იყო ჩემი **ამას ღამე** შენი ჩემთვის ესეთი სიქუმე (ვისრამიანი, 330); **ამას ღამე** შენთანა ვიქნები (ყარამანიანი 176)...

სამწერლობო ენაში გვხვდება **ამაზღამ** ფორმაც. „რუსუდანიანში“ იგი ვარიანტებშია გატანილი (624, B), „როსტომიანიდან“ და „შაჰ-ნამედან“ „**ამეზღამ**“ დამოწმებული აქვთ ივ. ქავთარაძეს (ქავთარაძე, 1964: 271), ა. მარტიროსოვს (მარტიროსოვი, 1954: 57) და მ. მიძიშვილს (მიძიშვილი, 1960: 78).

ამეზღამ გავრცელებულია აჭარულში (ქობულეთური კილოკავის გამოკლებით), იშვიათია **ამაზღამ** (ცინცაძე, ფალავა, 1998: 25-26). **ამეზღამ** და **ამაზღამ** ფორმებს იმოწმებს შ. ფუტკარაძე (ფუტკარაძე, 1995: 7, 16). ქართული ენის სხვა დიალექტებში ეს ფორმები არ გვხვდება.

ვფიქრობთ, **ამეზღამ** კარგი მაგალითია სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული იმ მოვლენისა, როცა სახელთა ფორმები „ბრუნვათა პარადიგმიდან გამოსვლის შემდეგ იქცევიან ზმნიზედებად, ანუ გარემოებებად“. ამ მოვლენის ერთ-ერთ ნიმუშად თ. უთურგაიძე იმოწმებს სწორედ არსებით სახელს „ღამე“: „ღამე, როგორც სახელი, კვეცადია, მაგრამ სახელობითში არასოდეს კარგავს ბოლო ხმოვანს... როგორც ზმნიზედა კი იცვლება და ბოლო ხმოვანს კარგავს გარკვეულ შემთხვევებში: „დღე და ღამ შრომობს...“ (უთურგაიძე, 1986: 96). ჩვენი მხრით

დავუმატებთ, რომ შავშურ კილოში ანალოგიურ კონტექსტში ბოლო ხმოვნის გარეშე „სალამო“: ხვალ არი დუგუნი, ხვალ **სალამ** არი (ივეთი).

ბოლო ხმოვანი ეკვეცება თურქულიდან შესულ სიტყვას „სირა“ (sira) „რიგი“, „მწკრივი“, როცა იგი „წინა“ ზმნიზედასთან ერთად აღნიშნავს დროს:

წინა სირ ორი თეშტი მოვადუღე (ხევწვრილი).

აჭარულში ფართოდაა გავრცელებული „ხვალსალამ“, „ამსალამ“, „გუშინ სალამ“.

სჭ>შჭ: ნიორი ილაჯია, ბაბოდ **შჭამდა** (წეთილეთი)...

გყ>ქყ: ვირები **ქყყავდა** (უსტამისი); ოთხი თანე ბიჭი **ქყყავს** (ჩაქველთა).

გყ>კყ: **წამოკყვეს** და პასუხი მოგე (ჩაქველთა); შდრ. არ **წამოკყვათ?** (ჩაქველთა).

გქ>ქქ: საქონელი **ქქქონდა** (ჩაქველთა).

გჭ>ქჭ: წისქვილი აღარ **ქჭჭირია** (ჩაქველთა).

გხ>ქხ: მოკდე, არ **შექხედავენ** (ჩაქველთა).

გც>ქც: **მოქცემ** სამას დოლარს (ბაზგირეთი); შდრ. **მოგცემდა** ბეგი (ზაქიეთი).

გკ>ქკ: **დაქკრავ** ამ გარგან (ხევწვრილი).

ბშ>ფშ: ქვიან **ალაგეფში** არის (ჩაქველთა).

სხვადასხვა ფორმაა ერთსა და იმავე წინადადებაში: „ჩადებ **გობში**, დახრეტილ **გოფში**, გედწურვის (ბაზგირეთი).

დყ>ტყ: იქ, ისტამბოლ, არის, **ავატყოფია** (ბაზგირეთი)...

თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის შემთხვევები შედარებით ნაკლებია:

ცღ>ცხ: კითხვით ნაცვალსახელებს და ზმნიზედებს დაერთვის **ცა**, **ლა** ნაწილაკები, შედეგად **ცა** ნაწილაკისეული ა იკარგვის, სპირანტი **ლ' ც'** თანხმოვნის მეზობლად ყრუვდება: **ცღ>ცხ**: **რადაცა>რაცლა>რაცხა**:

რაცხა შეგივარდება თვალში ... (ჩაქველთა).

ვინცალა>ვინცლა>ვინცხა: **ვინცხას** რომ მათყველიეფ (ჩაქველთა).

ანალოგიური მაგალითებია:

„**რომელცხამ** ქი გაამჟღავნა, იმან ითხვა (სვირევანი); **რავარცხა** ქი დოდოფლობაში შეკაზმული იყო (სვირევანი).

ასეთი შემთხვევები ქართული ენის სხვა დიალექტებიდანაც არის ცნობილი.

ცღ>ზღ: ახლოა, **ოზდაათ** დეყეზე ახვალ (ხევწვრილი).

რჩ ფუძის ზმნებში **რ** სონორი იცვლება **ს** სპირანტით: **სჩება**. რეგრესული ასიმილაციით **სჩ>შჩ**: დიდი თუთა **დაშჩა** (ხევწვრილი)...

კღ>კტ: კაცი **მოკტა** ოთხმოცდაჩვიდმეტი წლისა (ბაზგ.)...

ჭარბობს უასიმილაციო ფორმები:

რამდენი ხანია **მოკდნენ** (ბაზგირეთი); **მოკდები**, აგზე ჩაგდებენ (უსტამისი)...

ამ მხრივ ერთგვაროვნება არ არის აჭარულშიც: ქობულეთურისათვის ჩვეულებრივია ასიმილირებული ფორმები: **მოკტა**, **სიკტილი**... სხვაგან - **მოკდა**, **სიკდილი**... არის გავრცელებული.

ხდ>ხტ: ვერ **მივმხტარვარ**, თქვენ **მიხტებით** (ბაზგირეთი)...

ხდ>ხთ: ემჯამი ერთ დოხტურმა **მიხთა** (სვირევანი)...

ქღ>ქთ: პურს მოვზელავთ, **გასუქდება** (ჩაქველთა.)...

ერთი ფონეტიკური მოვლენის ანალიზითაც ნათელია, რომ შავშური კილო

მკვეთრად გამოკვეთილი ქვესისტემაა ქართული ენისა, რომელიც აჭარულთან, კლარჯულთან და ტაოურთან ერთად ქმნის ქართული ენის სამხრული კილოების ჯგუფს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ვისრამიანი. (1964). ალ. გვახარიასა და მაგალი თოდუას რედაქციით. თბილისი.
- მარტიროსოვი, ა. (1953). ზმნისწინის შედგენილობა და ფუნქციები ძველ ქართულში. იკე, V: 73-94.
- რუსუდანიანი. (1957). ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით. თბილისი.
- უთურგაძე, თ. (1986). ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბილისი.
- ფუტკარაძე, შ. (1993). ჩვენებურების ქართული, მონოგრაფია. ბათუმი.
- ფუტკარაძე, შ. (1995). ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით. სადისერტაციო მაცნე. თბილისი.
- ქავთარაძე, ი. (1964). ქართული ენის ისტორიისათვის (XII-XVIII სს). I. თბილისი:
- ყარამანიანი (1985). ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთეს ა. გვახარიამ და ს. ცაიშვილმა. თბილისი.
- ცინცაძე, მ., ფაღვა, მ. (1998). სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა, (V-XVIII სს). ბათუმი: ბსუ გამომცემლობა.
- ძიძიშვილი, მ. (1960). ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში. თბილისი.
- ხონელი მ. (1969). ამირანდარეჯანიანი. გამოსაცემად მოამზადა ლ. ათანელაშვილმა, თბილისი.

Assimilation in the Shavshian dialect

Paghava Mamia
Batumi SHota Rustaveli State University
Baramidze Maia
Batumi SHota Rustaveli State University

Abstract

We call Shavshian the speech of the inhabitants of historical Shavsheti. We note that the term Imerkhevi dialect was used to denote the dialect mentioned in the Georgian linguistic literature (N. Marri, Iv. Gigineishvili, V. Topuria, Iv. Kavtaradze, Sh. Putkaradze, T. Putkaradze ...), As much as it was believed that the Georgian language survived in only twenty villages in the Imerkhevi gorge. The term was first used by Niko Mari, others echoed his opinion. We introduce the term Shavshian dialect with the following consideration: A. Shavsheti (in today's sense) and Imerkhevi are parts of one historical Georgian country, Shavsheti. B. Georgian language is heard not only in the villages cultivated in Imerkhevi gorge, but also outside it: In Ustamisi, Chakvelta... C. Georgian vocabulary is embedded in the Turkish speech of the Shavshians. D. Georgian toponymy is still alive in the whole territory of Shavsheti; E. As part of Shavshian, as dialects, we also consider Machakhelian speech. For all the named reasons, we

think it is better to use the term Shavshian dialect, in which, according to the available data, two dialects can be distinguished: Imerkhevian and Machakhelian.

Shavshian is a pronounced dialect of the Georgian language. The authors discuss a single phonetic phenomenon based on the various materials obtained through expeditions arranged in the villages of Shavsheti - assimilation in Shavshian dialect. Cases of both vowel assimilation and consonant assimilation are discussed. There is a remarkable linguistic picture, namely: assimilation of vowel:

აე>ეე: დეეხვევა (<დაეხვევა), წეევი (<წავევი)...

აი>ეი (>ეი): დეეწავლა (<დაისწავლა), დიეინახე (<დამინახე)...

დიეივიწყდა (<დამავიწყდა), გეეიგონია (გამიგონია)...

ოი>ეი (>ეი): მეიკიდე (<მოიკიდე), მეიტანდა (<მოიტანდა), მეეიტანა (<მომეიტანა)...

ოი>ეი>იი: მიეიწველია (<მეეიწველია<მომეიწველია)...

აუ>ოუ>უუ: უულებენ (<ოულებენ<აულებენ).

ეუ>უუ: შუეჩივლია (<შეეჩივლია)...

Assimilation of consonants:

სლ>ზლ: ამეზლამ (შდრ. ამას ლამ)...

სჭ>შჭ: შჭამდა (<სჭამდა)....

გყ>ქყ: ქყყავდა (<გყყავდა)....

გც>ქც: მოქცემ (<მოგცემ)...

Cases of regressive assimilation seem to predominate in Shavshian dialect. The phonetic features of Shavshian dialect are evident in the assimilation.

Keywords: Shavshian dialect, Southern dialects, assimilation, vowel assimilation, consonant assimilation, regressive assimilation.